ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 291

"13" სექტემბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას" (ს/კ 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანისა და დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის" (ს/კ 201990079) გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" და „დ.ზ" ქვეპუნქტების, 127^2 მუხლის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. „ქ.თბილისში, ვარკეთილი 3-ის IV მიკრორაიონის კორპუსი №425-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (ს/კ:№01.19.39.002.091; №01.19.39.002.092) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 11 აპრილის №18.212.394 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 სექტემბრის №19.967.1235 განკარგულების შესაბამისად:

ა) შეიცვალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას" (ს/კ 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. პრივატიზებული მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა (შესაბამისი ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით) და ექსპლუატაციაში მიღება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) წლის ვადაში.".

ბ) მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას" (ს/კ 201990079) შორის 2018 წლის 19 აპრილს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ" ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების

დარღვევისათვის, ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3. პუნქტის საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ააიპ „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის“ (ს/ნ: 201990079) გათავისუფლებაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე